ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

განათლების საკითხები XIX ს-ის საქართველოში

ნათია ბებიაშვილი

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანოტაცია

ახალი ფსიქო-კულტურული ტიპის ქართველის ჩამოყალიბებისთვის ქართული ისტორიული წარსულის სწავლა და შეფასება ძალზე მნიშვნელოვანია. ქართული პედაგოგიური აზრის ფორმირების საკითხები გვაძლევს საშუალებას, გავაცნობიერებინოთ დღევანდელი დღის მოთხოვნები, ვინაიდან XIXს-ის საქართველო თავისი სოციალ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობით წაგავს დღევანდელი, გარდამავალი ეპოქის საქართველოს.

საკვანძო სიტყვები *: ახალი ფსიქო-კულტურული ტიპის ქართველი, ქართული პედაგოგიური აზრი, გარდამავალი ეპოქა*

ახალი ფსიქო-კულტურული ქართველის ჩამოყალიბებისთვის ქართული ისტორიული წარსულის შესწავლა და შეფასება ძალზე მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, ქართული პედაგოგიური აზრის ფორმირების საკითხები იძლევა საშუალებას, გავაცნობიერებინოთ დღევანდელი მოთხოვნები დ გავითვალისწინოთ წარსულის გამოცდილება. XIX საუკუნის საქართველო თავისი სოციალურ - პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობით წააგავს დღევანდელი გარდამავალიეპოქის საქართველოს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მოაზროვნე ნაწილი,როგორც სასულიერო,ჩვენ შემთხვევაში გაბრიელ ეპისკოპოსი და როგორც საერო- იაკობ გოგებაშვილი,წინ აღუდგა ეროვნულ ღირებულებათა ხელმყოფებს.

„არავის ვმსახურებდეთ, არცა ვემონოთ გარეშე ღვთისა"[1]და სამშობლოსი - ასეთი იყო მრწამსი ქართველი კაცისა. საქართველოს ბედი ყოველი ქართველის პირად ბედად აღიქმებოდა. სწორედ სამშობლოს ბედით უკმაყოფილებამ გამოაფხიზლა მინავლებული გონება და გრძნობა ქართველი კაცისა XIX ს-ის მეორე ნახევარში.ერის მეხსიერება ყველაზე ძვირფასი მემკვიდრეობაა, რომელიც შთამომავლობით გადადის თაობიდან თაობაზე და შობს შვილს, რომელიც იტყვის: „ენა, მამული სარწმუნოება"...

ერის ვინაობის დადგენა მთელი სიმძფრით დადგა ქართველი ერის წინაშე XIX ს-ის II ნახევარში, გააერთიანა ყველა მოაზროვნე ადამიანი და ჩააყენა ერის სამსახურში. „60-იანი წლებიდან, - წერდა ილია ჭავჭავაძე, -ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული

ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

სიტყვა „მამული" მთელი თავისი გულმიმზიდველი და დიდებული მნიშვნელობითა. ვისაც კი რაიმე ნიშანი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებული მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქოს ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ 60-იანი წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი ვითარცა მზემ და თავის სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას... აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მისი აწმყო და მერმისი კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა. „ვინა ვართ და რანი ვართ და" ამ ზღვაებრ ფართო საკითხს შემოეჯარა გარს ჩვენი მწერლობა, გვერდს ამოუდგა სხვა და სხვა მხრიდამ და ერთიანის ძალღონით ფეხზე წამოაყენა გონების თვალის გულღვიძლამდე გასაბნევად".[2]

მამულისთვის ბრძოლა ქრისტიანობისთვის ბრძოლას ერწყმოდა. XIX ს-ში „ერთმორწმუნე რუსეთის"ანექსიამ საქართველო რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად გადააქცია. რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ საერთო ეროვნული ბრძოლა გამოცხადდა. ამ უთანასწორო წინააღმდეგობაში ერისა და ბერის ერთობა გადამწყვეტი აღმოჩნდა. ამ მხრივ, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად იაკობ გოგებაშვილისა და გაბრიელ ეპისკოპოსის დამსახურება განუზომელია. საქართველოსთვის თავდადებულ ადამიანებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. ჩვენიმიზანია, კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ მათი ერთობლივი ღვაწლი.

ნიშანდობლივია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ერთ-ერთ კრებაზე გაბრიელ ეპისკოპოსისა და იაკობ გოგებაშვილის საპატიო წევრებად არჩევაკრების თავმჯდომარის, ილია ჭავჭავაძის მიერ. ეს ჩვენთვის საინტერესო დამთხვევაა. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა იაკობ გოგებაშილი და ისაუბრა გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლზე განათლების დარგში: ,,გაბრიელმა, ეპისკოპოსმა იმერეთისამ, ფრიად დიდი სამსახური გაუწია ხალხის განათლებას საქართველოში.პირველად: ორკლასიანი კეთილმოწყობილი სკოლის დაარსებით გურიაში სოფელს ბახვში თავისი საკუთარი ხარჯით. ეს სკოლა სწარმოებს აგერ, თხუთმეტი წელიწადია და მისი სამუდამო არსებობა უზრუნველყოფილია საკმაო თანხით, რომელიც გაბრიელმა სახელმწიფო ბანკში შეიტანა. მეორედ: მრავალი სამრევლო სკოლების დაარსებით თავის ეპარქიაში და სხვა ღონისძიებებითაც, რომელთა წყალობით წერა-კითხვა ეხლა ძლიერ გავრცელებულია იმერეთის მხარეში. მესამედ: თავის ფრიად შესანიშნავი ქადაგებით ხალხითვის გასაგები ენით დაწერილით, რომელიც ინგლისურ ენაზეც კი ითარგმნენ და მეოთხედ იმით, რომ თავდაპირველადვე გაბრიელმა ნამდვილი თანაგრძნობა გამოუჩინა ჩვენს საზოგადოებას, წესდებას ხელი მოაწერა, როგორც დამფუძნებელმა წევრმა და იმ თავითვე შემოიტანა ოცდაათი თუმანი ფული ხვედრი დამფუძნებელი წევრობისა და ყოველ წლივ შემოაქვს საწევრო ფული"[3].

ISSN 1512-1801

იაკობის თხოვნით, ილია წერდა პოლემიკურ სტატიებს იანოვსკისა და სხვა მოხელეთა წინააღმდეგ, ხელს აწერდა მეფესთან ან მის ნაცვალთან გასაგზავნქაღალდებზე. ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა გოგებაშვილს დაყოველთვის მზად იყო,დახმარებოდა მას სახალხო განათლების საქმეში.

რუსმა მოხელეებმა ვერ შეძლეს იაკობ გოგებაშვილის საქმის დამარცხება. ამის მაგალითია სემინარის რექტორის ვალენტინისა და ეგზარქოს ევსევის მოულოდნელი შესვლა იაკობთან გაკვეთილზე, რათა რაიმე ,,კრამოლური" იდეა აღმოეჩინათ მის საუბარში, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და მისი პედაგოგიური ოსტატობით გაოცდნენ.

ერთხელ, თბილისში „ორი სემინარიელი ...დ. კეზელი და ...სტ.ჭრელაშვილი ... სკამზე მსხდარიყვნენ. ამ დროს აქ გამოეარა დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, მაშინდელი ხელმწიფის მოადგილეს კავკასიაში. სემინარიელები არ ამდგარიყვნენ და თავი არ დაეკრათ.დიდ მთავარს ეს, რასაკვირველია, დიდ შეურაცხყოფად მიეღო და განრისხებულს ბრძანება მიეცა თავის ამალისთვის, დაუყონებლივ შეიპყარითო. სემინარიელები მეტეხში ჩასვეს.დაიწყო კვლევა-ძიება. ფეხზე დააყენეს პოლიცია და ჟანდარმერია. არ სჯეროდათ, რომ ეს ორი სემინარიელი მარტონი ყოფილიყვნენ, რომ ამათ უნდა ჰყოლოდათ შთამაგონებელნი, წამაქეზებელნი. დაეძებდნენ რაღაცა ქართველების შეთქმულებას. ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერაფერი გამოძებნეს, საქმე იმით გათავდა, რომ რამდენიმე მასწავლებელი და მოწაფე სემინარიიდან გააძევეს. ამ განდევნილთა შორის, როგორც გამიგონია, იყვნენ, სხვათა შორის, ი. გოგებაშვილი და ნ.ცხვედაძე, გამოჩენილი ქართველი პედაგოგები და საქვეყნო მოღვაწენი"[4].

იაკობ გოგებაშვილის აზრით, ეგზარქოს ევსევისა და სხვებს შურდათ გაბრიელ ქიქოძის ავტორიტეტის და ამიტომ ასევე ვერაგულად ეყრობოდნენ მასაც.

გაბრიელს, ისევე,როგორც მთელ საქართველოს, აფიქრიანებდა ი. გოგებაშვილის ბედი, რომელმაც ამ შემთხვევის გამო საბოლოოდ ჩაიქნია ხელი სკოლაში პრაქტიკული მოღვაწეობის გაგრძელებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა გაბრიელის წერილი ეგზარქოს ევსევისადმი, დათარიღებული 1874 წლის 16 სექტემბრით, სადაც გაბრიელი ესარჩლებოდა ი. გოგებაშვილს.

სინოდის რევიზორი კერსკი საიდუმლო მოხსენებაში სასულიერო სასწავლებლის რევიზიის შესახებ წერდა, რომ იაკობი საკუთარ ბინაზე აწყობდა ფარულ კრებებს და „უარყოფითი მიმართულების წიგნებს" აკითხებდა ახალგაზრდებს. მას აგრეთვე სასწავლებლის თანხების გაფლანგვაც დააბრალეს. ამ ბრალდებებით იაკობი სკოლიდან გაათავისუფლეს როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. ამ ამბავმა საშინლად იმოქმედა იაკობზე და მტკვარში თავის დახრჩობა განიზრახა. იგი ნიკო ცხვედაძის ძმამ სანდრომ გადარჩინა... „დიახ, გოგებაშვილი ფაქიზი და ნათელი პიროვნება იყო, - იგონებს არტურ ლაისტი, -ნამდვილი პედაგოგი, მწერალი. იგი თავის სიცოცხლეში მუდამ სწავლობდა და

ISSN 1512-1801

სხვებსაც ასწავლიდა... საზოგადოდ, გოგებაშვილს მშვიდი და წყნარი ცხოვრება უყვარდა. მისი ტრფიალი მხოლოდ სამშობლო და პედაგოგიკა იყო... ილიას მხოლოდ საქმის გამო ესტუმრებოდა ხოლმე, მაგრამ არ მახსოვს, რომ ოდესმემასთან სადილად ან ვახშმად დარჩენილიყო; საზოგადოდ, იაკობი არავისთან დადიოდა, ასეთი კაცი იყო- თავისას კმარობდა და სხვისგან არაფერს იღებდა"[5]...

80-იანი წლებიდან იანოვსკი-ლევიტსკის რუსიფიკატორულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ახალი იერიში მიიტანა დასავლეთსაქართველოს სკოლებზე. გოგებაშვილი და ილია ჭავჭავაძე უმალგამოეხმაურნენ ამ საკითხს. იაკობმა გაზ. ,,დროებაში" (1881 წ. N50, 51) გამოაქვეყნა წერილი- „მზრუნველ იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა", სადაცხაზგასმით ამბობდა, თვითონ ხალხს სურსო, რომ ბავშვებმა სასოფლო სკოლების ,,შემწეობით რუსული ენა ისწავლონო", - ბრძანებს ბატონი იანოვსკი. ვთქვათ, რომ ეს სურვილი ნამდვილია, მაგრამ განა ამ სურვილს ჩვენ არ ვასხვაფერებთ და ბოროტად არ ვხმარობთ, როდესაცსკოლას იმ გვარად ვუმართავთ ხელს, რომ რუსული ენა ქართულს უშლის, საგნების სწავლებასაც ხელს უცარავს, ბავშვების გახსნასაც ავნებს და თვითონაც შეუთვისებელი რჩება? განა ეს პირდაპირ ღალატი და მოტყუება არ არის ხალხისი?... სკოლა ამ დნიშნულების მაგიერ მისდევს რუსული ენის ზეპირობას, იქ ხალხი გულს იცრუებს მასზე, იძულებს, ჭირივით ეჯავრება".

იანოვსკის გეგმის წინააღმდეგ გაილაშქრა გაბრიელ ეპისკოპოსმაც. ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში ლევიცკი წერდა: ,,ამ ხიფათიდან საქმეს ვერ იხსნის სკოლების ინსპექტორად რუსის დანიშვნაც, რადგან ეპარქიის ხელმძღვანელად ,,ტუზემეცი" არის, რომელიც მოთქვამს და გოდებს, რომ რუსული ენის ხარჯზე ითელება და იზღუდება მშობლიური ენა."[6]

რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით გაბრიელი აზრს გამოთქვამს ეგზარქოს პავლესთან მიწერილ წერილში.

გაბრიელი თავის პასუხში იანოვსკისადმი აღნიშნავდა: - „რადგან ვიცოდი სურვილი და მისწრაფება ქართველი ხალხისა, ეგზარქოსს ვუპასუხე, რომ ურუსულოდ შეუძლებელია სკოლა საქართველოში, რადგან ამგვარ სკოლაში ხალხი თავის შვილებს არმიამაგრებსო"[7]. ამის თაობაზე არჩილ ჯორჯაძე შენიშნავდა: ,,ის აზრი, ვითომ ხალხი არ გაგზავნის ამგვარ სკოლებში თავის შვილებს, საბუთს მოკებულიაო"[8]. არადა მწარე სიმართლე ღაღადებდა გაბრიელის პირით. „რუსეთის მთავრობამ - წერდა ზ. ჭიჭინაძე,- თავის საწადელს მიაღწია. საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველნი თვითვე მოიძულებდნენ ქართულ ენას, ქართულ წიგნის კითხვას და თვით სკოლებშიაც სთხოვდნენ უფროსებს, რომ ჩვენ შვილებს ქართულის წერა-კითხვას ნუ ასწავლითო... საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქართული ენა გაიდევნა არამარტო ოჯახებიდან, არამარტო სასწავლებლიდან, არამედ ქართული ეკლესიიდანაც კი: „რუსის ეგზარხოსმა 1818 წლიდან ქართულს ენას ეკლესიაშიც კი

ISSN 1512-1801

დაუწყო დევნა, ჩინებით, ორდენებით და კამილავკებით შეისყიდესთვითქართველისამღვდელოება და თვით ამ სულიერ მამებსაც დააწყებინეს ქართულის წირვა-ლოცვის მაგიერ სლავიანურ-რუსულათ შესრულება. სიონში ქართულს ენაზედ სახარებას აღდგომას და დიდ ხუთშაბათსაც კი არ კითხულობდნენ. თბილისში უმეტესად ქართველ მიცვალებულებს რუსული წესრიგის შესრულებით ასაფლავებდნენ, რუსულათ აქორწინებდნენ, ყველაფერს რუსულად ასრულებდნენ"[7].

ამ საკითხთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილი ,,ცნობის ფურცელში" (1905 წ. #2905) წერდა - „ნეტარ ხსენებულიმღვდელ-მთავარი თავის მოქმედებაში არასდროს არ ხელმძღვანელობდა მთავრობის შეხედულობით, არასოდეს არ ცდილობდა ეამებინა თავისი უფროსებისთვის და მუდამ გულწრფელად და დამოუკიდებლივ იქცეოდა. ამიტომ ეს პასუხიც უნდა ჩაითვალოს გულწრფელად".

ილია ჭავჭავაძისთვის განუზომელი იყო გაბრიელის დამსახურება: „ეს იყო ის, რასაც სიბრძნეს ეძახიან და რის გარედან მსახურება თვისი მსახურებად არ მიაჩნდა, ღვაწლი-ღვაწლად, მადლი-მადლად, საქმე-საქმედ... კაცისთვის მსახურება მსახურებაა ღვთისაო... ამას მარტო ღრმად გამეცნიერებული სარწმუნოება იტყოდა"[8]. ეს იყო აზრი მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგეციისა, რომლის წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მართებულ შეფასებას აძლევდა მოვლენებს.

60-იან წლებში განათლება სავალალო მდგომარეობაში იყო. გაბრიელს უნდა დაეძლია ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგობანი და გადაელახა სკოლისთვის საჭირო კადრებისა და მატერიალური ბაზის სირთულეები.

მასწავლებობა უნდა დაკისრებოდა განათლებულ მღვდელ-დიაკვნებს.ამ საპატიო საქმეს თავად გაბრიელი ხელმძღვანელობდა.სულ მალე სკოლების ორგანიზაციული გაფორმება დასრულდა და იმერეთის მთელ რიგ სოფლებში სწავლაც დაიწყო.სამრევლო სკოლების გახსნით გაბრიელი უნარჩუნებდა ყმაწვილებს მშობლიურ ენაზე სწავლის საშუალებას. სამრევლო სკოლები არ შედიოდა სახალხო განათლების სისტემაში და ამიტომ ახერხებდა გაბრიელი მათ მფარველობას.შემოვლილი ჰქონდა მთელი იმერეთი, სვანეთი, რაჭა, სამეგრელო, აფხაზეთი. გაბრიელმა 18 000 აფხაზი გააქრისტიანა.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ მოკლე ექსკურსით ამოიწუროს ამ პიროვნებათა ღვაწლი. ,,საქმე ის კი არა, პატარა კაცი იყო და დიდ სამშბლოს ეძებდე, საქმე ის არის, დიდი კაცი იყო და პატარა სამშობლო გიყვარდეს."[9]

ეს შეგონება ასმაგად ფასეულია დღევანდელი საქართველოსათვის.დიდ წინაპართა ნაღვაწი, კერძოდ, საერო და სასულიერო პირთა ერთმსოფლმხედველობრივ პოზიციაზე ყოფნა, მათი თავდადებული ბრძოლა, მაგალითია ყველასთვის, ვისაც სამშობლოს თავისუფლება უპირველეს მიზნად დაუსახავს.

ISSN 1512-1801

თეზისები:

1. XIX ს-ის მეორე ნახევარში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული ვითარება საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსიფიკატორულმა რეჟიმმა ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა განათლების სისტემას. ქართული ენა განიდევნა სკოლებიდან და ეკლესიებშიც წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე სრულდებოდა.
2. წ.კ.გ.ს-ის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი განათლების პრობლემების მოგვარება და ქართული ენის გადარჩენა გახდა.
3. ქართული ენისა და განათლების სფეროს დასაცავად მთელი ერი გაერთიანდა. როგორც საზოგადო მოღვაწენი ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი და ასე შემდეგ, ისე სასულიერო პირნი დასავლეთ საქართველოში - გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), აღმოსავლეთ საქართველოში - ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე) ძალისხმევას არ იშურებდნენ რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.
4. ილიას თქმით, გაბრიელ ეპისკოპოსმა „სარწმუნოება გაამეცნიერა და მეცნიერება გაასარწმუნოვა".
5. იაკობი თავისი „დედა ენით", „ბუნების კარით", „რუსკოე სლოვოთი", გაბრიელ ეპისკოპოსი კი ქადაგებანით მუდმივად საქართველოს სამსახურში იდგნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტ. ტაბიძე, ,,წერილები ლიტერატურისა და ხელოვნებაზე''. ტ.2, 1996, გვ. 5.
2. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 25
3. საქ.ცენტრალური არქივი. ფონდი #481. საქმე #238
4. იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, გვ. 4, თბილისი, 1936
5. არტურ ლაისტი, საქართველოს გული 1963, გვ. 7
6. ტ. ხუნდაძე .ცარიზმისსაგანმანათლებლო პოლიტიკა საქართვეოში. 1935 წ. გვ.69
7. ა.ჯორჯაძე, ჩვენი საზოგადოებრიობა, წიგნი მეორე. თბილისი,1911წ.
8. ილია ჭავჭვაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV,თბილისი, 1987 წ.
9. ქართული ლიტერატურული ესსე, თბილისი, 1986, გვ.36